საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 153

05 10 2015 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 2 ოქტომბრის N2608-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ოქტომბრის სხდომის N16 ოქმის მე-10 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 2 ოქტომბრის N03/3923 წერილით შემოსული დოკუმენტაციის გათვალისწინებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ ჯავის რაიონიდან მარნეულის მუნიციპალიტეტში ჩამოსახლებული 46 ოჯახისათვის, მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ხელშეწყობის მიზნით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 1-ის მე-3[1] პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის 2-ე პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

1. მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს მარნეულის მუნიციპალიტეტში ჯავის რაიონიდან ჩამოსახლებული დევნილების მიწის ნაკვეთების საინჟინრო-გეოლოგიური და ტოპო გეგმების მომზადების სამუშაოების მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გადაუდებელი აუცილებლობით, გამარტივებული შესყიდვით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ზაურ ტაბატაძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი